ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4855147

ნომერი: AR1732643

თარიღი : 04.02.2020

გაცემის თარიღი : 17.02.2020

გაცნობის თარიღი : 17.02.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რომანოზ ხომლელის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თოდუა პ/ნ 01010005245
- ჭოქაძის ქ.#10ა ბინა #28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-39 (24.05.2016) დადგენილების მუხლი 4-ის პუნქტი 1 „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური გამოყენება შერეულია. აქედან გამომდინარე დასაცავია ნაკვეთზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრები.
საპროექტო მიწის ნაკვეთის ის ნაწილი სადაც ახალი ობიექტის განთავსებაა დაგეგმილი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმინ ზონა 2-ში. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ - საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების შესაბამისად, თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება (მრავალბინიანი საცხოვრებელი სალი) მოქცეულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობაში, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ მოხდეს თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე მსჯელობა, ახალი ობიექტის დამატების მიზნით, საჭიროა საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების კუთხით ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ საქმისწარმოების საიტზე Urban.gov.ge.
მაშასადამე, არქიტექტურის სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.